სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

61186484532717

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N170637350

რეგისტრაციის თარიღი

09.06.2017 წ

ნოტარიუსი: ნიკოლოზ მალაშხია
მისამართი: ქ. თბილისი, პეკინის გამზ. # 15
ტელეფონი: 2377321; მობ: 599561242

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას ჩვიდმეტი წლის ცხრა ივნისს მე, ნოტარიუსს ნიკოლოზ მალაშხიას, ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისი, პეკინის გამზ. № 15, პირველ სართულზე, მომმართა ნოდარი მაღლაფერიძემ და განაცხადა, რომ არის შპს "სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი"-ს დირექტორი და მოითხოვა ოთარ იაგორაშვილისათვის (დაბ. 03. 06. 1951წ., პირადი № 01017001188, მცხ. ქ. თბილისი, დ. ჭონქაძის ქ. № 19/9) შპს "სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი"-ს სახელით შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების სანოტარო აქტის (მინდობილობის) შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებული დოკუმენტით: ნოდარი მაღლაფერიძე – დაბ. 16. 07. 1951წ., პირადი № 01017020362, მცხ. ქ. თბილისი, გ. რჩეულიშვილის ქ., კორპ. 6, ბ. 40. მე შევამოწმე ნოდარი მაღლაფერიძის უფლებამოსილება, რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან შპს "სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი"-ს შესახებ. ამონაწერის მომზადების თარიღი: 05/07/2016 17:25:15, საიდენტიფიკაციო კოდი: 400028910, სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 25/10/2011, მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გ. რჩეულიშვილის ქ., კორპ. 6, ბ. 40. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, უფლებაუნარიანობა, დავადგინე ნების გამოვლენის ნამდვილობა. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე და განვუმარტე მისი შინაარსი. მან წაიკითხა წინამდებარე მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი სრულიად შეესაბამება მის ნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ჩვიდმეტი წლის ცხრა ივნისს, ამ მინდობილობით შპს "სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი"-მ (ს/კ № 400028910) მისი დირექტორის ნოდარი მაღლაფერიძის სახით, შემდგომში წოდებული, როგორც "მიმნდობი", ოთარ იაგორაშვილს, შემდგომში წოდებული, როგორც "მინდობილი პირი" მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს მიმნდობის წარმომადგენელი საჯარო, კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, სახელმწიფო ორგანოებსა და კომერციულ დაწესებულებებში, მათ შორის ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, საკრებულოში, გამგეობაში, მერიის არქიტექტურის, ზედამხედველობის სამსახურებში და მერიის დაქვემდებარებაში მყოფ სხვა სამსახურებში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, მიმნდობის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ხერგიანის ქ. 1 დაკავშირებით. მიმნდობილი პირი უფლებამოსილია აიღოს მიმდობის უძრავი ქონების მშენებლობის, დაშენების, მიშენების, რეკონსტრუქციის ნებართვა და პროექტი, შეათანხმოს პროექტი, მოახდინოს პროექტის კორექტირება და განახორციელოს ამასთან დაკავშირებით ნებისმიერი მოქმედებები, მიიღოს საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, ცნობა ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ, საკადასტრო გეგმა, აიღოს აზომვითი ნახაზი, მათ შორის ელექტრონული დოკუმენტის სახით, საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს განცხადება, წარადგინოს საჭირო ცნობები და დოკუმენტები, მოაწეროს ხელი მიმნდობის მაგივრად და შეასრულოს სხვა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან, უძრავი ქონების განკარგვის უფლების გარეშე.

აკინძულია და დანომრილია
ფურცელი

2. მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

3. წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად. მინდობილობის იმ ეგზემპლიარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში თან ერთვის დანართი 2 დოკუმენტი, იხ. ნოტ. ნ. მალაშხიას 2017წლის 09 თებერვლის არქივში.

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს "სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი"-ს შესახებ;
2. შპს "სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი"-ს წესდება, ამოღებული სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოდან ელექტრონული დოკუმენტის სახით.

4. სანოტარო საზღაური, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507, მუხლი 31 გადახდილია 10.0 ლარი და მუხლი 39-ის თანახმად რეგისტრაციის საფასური 2.0 ლარი, სულ გადახდილია 12.0 ლარი.

შპს "სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი"-ს

დირექტორი ---

ნოტარიუსი